

შპს „ტევრი“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ტევრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	767,175	905,406	1,102,008
სულ გრძელვადიანი აქტივები		767,175	905,406	1,102,008
სასაქონლო მარაგები	5	1,725,815	1,400,658	1,024,970
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	176,818	213,908	157,021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,418,837	1,528,120	1,283,009
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,321,470	3,142,686	2,465,000
სულ აქტივები		4,088,645	4,048,091	3,567,008
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		23,228	83,491	119,684
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,338,314	1,187,938	1,193,938
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,361,542	1,271,429	1,313,623
სულ ვალდებულებები		1,361,542	1,271,429	1,313,623
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		2,727,103	2,776,662	2,253,386
სულ საკუთარი კაპიტალი		2,727,103	2,776,662	2,253,386
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,088,645	4,048,091	3,567,008

შპს „ტევრი“-ს დირექტორი

თენგიზ ჭიჭინაძე

შპს „ტევრი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	9	5,344,147	7,155,380
ამონაგების თვითღირებულება	10	(3,320,532)	(3,787,781)
საერთო მოგება		2,023,615	3,367,599
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,928,514)	(2,394,006)
ფინანსური შემოსავალი	12	60,111	45,845
ფინანსური ხარჯი	13	(29,887)	(27,136)
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14	537,190	231,126
მოგება დაბეგვრამდე		662,515	1,223,428
მოგების გადასახადი		(92,879)	(86,918)
წმინდა მოგება/ზარალი		569,636	1,136,510

შპს „ტევრი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე

შპს „ტევრი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020- 31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2019	-	2,253,386	2,253,386
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(613,234)	(613,234)
პერიოდის მოგება		1,136,510	1,136,510
ნაშთი - 31.12.2019	-	2,776,662	2,776,662
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(619,195)	(619,195)
პერიოდის მოგება		569,636	569,636
ნაშთი - 31.12.2020	-	2,727,103	2,727,103

შპს „ტევრი“-ს დირექტორი

თენგიზ ჭიჭინაძე

შპს “ტევრი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტევრი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 03/07/2014). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №44, სართ. 1
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული საქონლით, კერძოდ ქალის ტანსაცმლით და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა.
კომპანიის დირექტორი: თენგიზ ჭიჭინაძე (პ.ნ. 01024015705)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 აშშ დოლარი / ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო / ლარი	4.0233	3.2095

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება.

საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახადელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია შესადარისი პერიოდების 2018 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარკვეული უზუსტობები, რის გამოც დაკორექტირებულია ზოგიერთი მუხლი. ამასთან კორექტირებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია. აღნიშნული ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	კორექტირებული		წინა წლების აუდირებული მონაცემების კორექტირება		თავდაპირველი წარდგენა	
	2019 ლარი	2018 ლარი	2019 ლარი	2018 ლარი	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები						
სასაქონლო მარაგები	1,400,658	1,024,970	(2,718)	-	1,403,375	1,024,970
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	213,908	157,021	1,714	32,295	212,194	124,726
ვალდებულებები						
საგადასახადო ვალდებულებები	83,491	119,684	(1,461)	-	84,952	119,684
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,187,938	1,193,938	3,190	32,295	1,184,748	1,161,643
საკუთარი კაპიტალი						
გაუნაწილებელი მოგება	2,776,662	2,253,386	(2,732)	-	2,779,395	2,253,386

	კორექტირებული	წინა წლების აუდირებული მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
	2019 ლარი	2019 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	7,155,380	(67,373)	7,222,752
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,394,006)	(2,732)	(2,391,273)
ფინანსური შემოსავალი	45,845	45,845	-
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	231,126	21,527	209,599

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 01.01.2019	1,618,207	1,618,207
შემოსვლა 2019	10,716	10,716
ბალანსი 31.12.2019	1,628,923	1,628,923
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება		
ბალანსი 01.01.2019	(516,198)	(516,198)
ცვეთა პერიოდისათვის 2019	(207,319)	(207,319)
ბალანსი 31.12.2019	(723,517)	(723,517)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2019	905,406	905,406
შემოსვლა 2020	62,085	62,085
ცვეთა პერიოდისათვის 2020	(168,275)	(168,275)
გასვლა 2020	(32,041)	(32,041)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2020	767,175	767,175

5. სასაქონლო მარაგები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
გასაყიდი საქონელი	1,725,815	1,400,658	1,020,733
სხვა დამხმარე მარაგები			4,236
სულ	1,725,815	1,400,658	1,024,970

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	29,828	81,656	85,161
გაცემული ავანსები	146,990	132,252	71,860
სულ	176,818	213,908	157,021

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
ნაღდი ფული სალაროში	27,302	30,745	27,434
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,391,535	1,497,375	1,255,575
სულ	1,418,837	1,528,120	1,283,009

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
გადასახდელი ხელფასები	-	47	23,237
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1,310,729	1,159,457	1,145,962
საიჯარო ვალდებულება	27,585	28,434	24,739
სულ	1,338,314	1,187,938	1,193,938

9. ამონაგები

	2020	2019
	ლარი	ლარი
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები (დღგ-ით დასაბეგრი)	5,100,389	7,032,618
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები (დღგ-სგან განთავისუფლებული)	49,813	46,749
ექსპორტი	193,944	76,013
სულ	5,344,147	7,155,380

10. ამონაგების თვითღირებულება

	2020	2019
	ლარი	ლარი
გაყიდული/შემძენილი საქონელი	(3,320,532)	(3,787,781)
სულ	(3,320,532)	(3,787,781)

11. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(785,293)	(761,072)
ცვეთა და ამორტიზაცია	(168,877)	(207,319)
იჯარის ხარჯი	(728,695)	(1,057,626)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(245,649)	(367,989)
სულ	(1,928,514)	(2,394,006)

12. ფინანსური შემოსავალი

	2020	2019
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავლები	60,111	45,845
სულ	60,111	45,845

13. ფინანსური ხარჯი

	2020	2019
	ლარი	ლარი
საბანკო გარანტიის საკომისიო	(29,887)	(27,136)
სულ	(29,887)	(27,136)

14. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2020	2019
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(188,900)	(20,374)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	726,090	251,500
სულ	537,190	231,126

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წელს დაწყებული COVID პანდემიასთან დაკავშირებით 2020 წლის 21 ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლამდე ვირუსის მეორე ტალღასთან მიმართებაში ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, დაიკეტა სავაჭრო ობიექტები და დაწესდა რეგულარული შეზღუდვები, რამაც გავლენა იქონია სუბიექტის ეკონომიკურ აქტივობაზე, თუმცა 2021 წლის თებერვლიდან შპს ტევრი აქტიურად ახორციელებს საქმიანობას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 9 აგვისტოს.

შპს „ტევრი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე _____

შპს „ტვერი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	767,175	905,406	1,102,008
სულ გრძელვადიანი აქტივები		767,175	905,406	1,102,008
სასაქონლო მარაგები	5	1,725,815	1,400,658	1,024,970
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	176,818	213,908	157,021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,418,837	1,528,120	1,283,009
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,321,470	3,142,686	2,465,000
სულ აქტივები		4,088,645	4,048,091	3,567,008
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		23,228	83,491	119,684
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,338,314	1,187,938	1,193,938
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,361,542	1,271,429	1,313,623
სულ ვალდებულებები		1,361,542	1,271,429	1,313,623
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		2,727,103	2,776,662	2,253,386
სულ საკუთარი კაპიტალი		2,727,103	2,776,662	2,253,386
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,088,645	4,048,091	3,567,008

შპს „ტვერი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე




შპს „ტვერი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	9	5,344,147	7,155,380
ამონაგების თვითღირებულება	10	(3,320,532)	(3,787,781)
საერთო მოგება		2,023,615	3,367,599
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,928,514)	(2,394,006)
ფინანსური შემოსავალი	12	60,111	45,845
ფინანსური ხარჯი	13	(29,887)	(27,136)
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14	537,190	231,126
მოგება დაზღვევამდე		662,515	1,223,428
მოგების გადასახადი		(92,879)	(86,918)
წმინდა მოგება/ზარალი		569,636	1,136,510

შპს „ტვერი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე



შპს „ტვერი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020- 31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2019	-	2,253,386	2,253,386
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(613,234)	(613,234)
პერიოდის მოგება		1,136,510	1,136,510
ნაშთი - 31.12.2019	-	2,776,662	2,776,662
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(619,195)	(619,195)
პერიოდის მოგება		569,636	569,636
ნაშთი - 31.12.2020	-	2,727,103	2,727,103

შპს „ტვერი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე



14. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2020	2019
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(188,900)	(20,374)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	726,090	251,500
სულ	537,190	231,126

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წელს დაწყებული COVID პანდემიასთან დაკავშირებით 2020 წლის 21 ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლამდე ვირუსის მეორე ტალღასთან მიმართებაში ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, დაიკეტა სავაჭრო ობიექტები და დაწესდა რეგულარული შეზღუდვები, რამაც გავლენა იქონია სუბიექტის ეკონომიკურ აქტივობაზე, თუმცა 2021 წლის თებერვლიდან შპს ტევრი აქტიურად ახორციელებს საქმიანობას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 9 აგვისტოს.

შპს „ტევრი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე

